აგროსასურსათო სექტორში პრიორიტეტებისა და რეგიონული სპეციალიზაციის საკითხისათვის

რევაზ ასათიანი
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი (ნამდვილი წევრი)

გურამ როგავა
იურისტი, ეკონომისტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი

ელიზაბედ ღაძაძე
სტაჟიორი

„ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენს სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლია-რა. ზომიერი ნელ-თბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მომცემი მიწა მომასწავებელნი არიან იმოდენა სიმდიდრისა, რამოდენიც საჭიროა, რომ ერმა უმტკივნეულოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში ღონივრად გაიწივ-გამოიწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის“ – ილია

რეზიუმე

ნებისმიერი ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარებას მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. აგროსასურსათო პროდუქტებით საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ბოლო ხუთი წლის (2019-2023 წწ.) საშუალო მონაცემების მიხედვით იმპორტზე მოდიოდა 57.6%, ხოლო ექსპორტზე კი 42.4%. ამასთან, ექსპორტის ყოველწლიური ხვედრით წილი საშუალოდ 13%-ით გაიზარდა ამ ბოლო ხუთი წლის პერიოდში, რაც უდავოდ მისასალმებელი ტენდენციაა. სამწუხაროდ, საქართველო ჯერ კვლავ სუსტია სასურსათო პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით, ადგილი აქვს კვების პროდუქტებზე ფასების პერმანენტულ ზრდას.

ასეთ პირობებში არსებული გამოწვევები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში საქართველოს წინაშე აყენებს ამოცანას, რომ გამოიკვეთოს და კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას, ისევე როგორც, თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას რეგიონების საწარმოო სპეციალიზაციების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: აგროსასურსათო სექტორი, პრიორიტეტები, კონკურენცია, საწარმოო სპეციალიზაცია.

შესავალი

ისტორიულად საქართველო იყო თვითმდგომი, სხვა ყველასაგან გამოყოფილი და განსხვავებული სახელმწიფო, რომელიც თვითონ ზრუნავდა თავის დაცვასა და მოვლაზე და შესაბამისად, თვითონ საზღვრავდა თავისი განვითარების ეგრეთ წოდებულ ღირებულებათა სისტემასა და პრიორიტეტებს. ჩვენ სამიწათმოქმედო კულტურისა და ტრადიციების მქონე ერი ვართ. ჩვენი წარსული და მომავალი განპირობებულია მიწასთან დაკავშირებული რელიგიური და ისტორიული საწყისებით. ყოველივე ამან განსაზღვრა ქართველთა განსხვავებული ჩვევები, სურვილები და მისწრაფებები პრაქტიკულ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის ტრადიციიდან გამომდინარეობს.

ძირითადი ტექსტი

ქართული სახელმწიფოს წინაშე დღეს არსებულ მრავალ გამოწვევას შორის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი აგროსასურსათო სექტორის შემდგომი განვითარება-მოდერნიზაცია წარმოადგენს. ალბათ, სწორედ ამიტომ, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ***პ. სამუელსონი***, ახასიათებს რა სოფლის მეურნეობას, ხატოვნად დაასკვნის: „სოფლის მეურნეობა, ეს შესაძლოა ბუნების უბედური გერია, მაგრამ იმავე დროს იგი ხშირად მთავრობის საყვარელი შვილიშვილია“.

აგრარული სექტორის, არამარტო როგორც ეკონომიკის ერთერთი მნიშვნელოვანი დარგის, არამედ როგორც ერთიანი სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიური სისტემის მიზანია დღევანდელი სოფლის მოდერნიზაცია და ქვეყნის მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვები პროდუქტების საკმარისი წარმოება, მათზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

დღეს, საქართველოს ეკონომიკაში აგრარული სექტორის (სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა) წილს შემცირების ტენდენცია აქვს. საბაზრო ეკონომიკამდელ პერიოდში ამ სექტორის წილი 30%-ს აღემატებოდა, ამჟამად კი დაახლოებით 7%-ია.

თავისთავად, სოფლის მეურნეობის წილის შემცირება ეროვნული პროდუქტის ფორმირებაში არ წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენას. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს არა იმდენად აღნიშნული სექტორის შემცირებას, რამდენადაც ეკონომიკის სხვა დარგების, მათ შორის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომსახურების სექტორების დაჩქარებულ განვითარებას. თანამედროვე პირობებში, რაც უფრო მეტადაა ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფო, მით უფრო დაბალი წილი აქვს აგრარულ სექტორს ამ ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის ფორმირებაში. მაგალითად, გერმანიაში სოფლის მეურნეობის წილად მოდის მშპ-ის მხოლოდ 0,8%, დანიაში – 1,2%, ლიეტუა – 3,3%, საბერძნეთში – 4,3%, სერბეთში – 6,3% და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკის ბოლოდროინდელი ზრდის ტემპები უდავოდ დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია. ამასთან, ჯაჭვის სიმტკიცე განისაზღვრება მისი ყველაზე სუსტი რგოლის სიმყარით. ასეთი „სუსტი რგოლი“ კი დღეისათვის თანამედროვე სოფელია – ის ფენომენი, რომელიც საქართველოს საძირკველს წარმოადგენს. სოფელი წლებია სუსტდება, მცირდება და ცარიელდება.

საქართველოს დამოუკიდებლობის ოცდაათწლიან ისტორიაში იყო არაერთი მცდელობა გატარებულიყო რეგიონული პოლიტიკა სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ასამაღლებლად. დრომ გვიჩვენა, რომ ამ მიზნით შემუშავებული სტრატეგია, თუ პროგრამა ძირითადად იყო არასისტემური და ფრაგმენტული. შედეგად მივიღეთ თითქმის შეუქცევადი პროცესი ქვეყნის სოფლების დაცარიელებისა, განსაკუთრებით კი მაღალი მთის საზღვრისპირა რეგიონებში. გაუკაცრიელდა 223 სოფელი (37%-ით მეტი საუკუნის დასაწყისთან შედარებით), მატულობს სოფლების რაოდენობა, სადაც ოჯახებში 1-5 სულამდე ცხოვრობს (74-დან 157-მდე), იკლებს 1000-დან 5000-მდე სულიანი სოფლები (561-დან 402-მდე) და 5000 მეტი სულიანი სოფლების რაოდენობა (28-დან 12-მდე).

ასეთი გამოწვევა ყველაზე უკეთ შესაძლებელია გადაწყდეს მრავალწევრიანი სათემო კოოპერაციული გაერთიანებების მეშვეობით, რაც წარმოადგენს მოქნილ მექანიზმს, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში გაუთვიცნობიერებელი მოსახლეობის ციფრული ტრანსფორმაციის სისტემურ პროცესებში ჩართვის გზით.

კოოპერაციული გაერთიანებების მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, უზრუნველყოფს კოოპერაციული გაერთიანების ყველა წევრის ინფორმირებას და ცოდნის ამაღლებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დადებითი გავლენების თაობაზე და მათ მასობრივ ჩართულობას ციფრული ტრანსფორმაციის სისტემურ პროცესებში. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სექტორის განვითარებას განუზომლად დიდი ეფექტის მოტანა შეუძლია. ზემოაღნიშნული მოდელი შეიძლება გავრცელდეს ყველა თემსა და სოფელზე.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარება-მოდერნიზაცია, ამ მიმართულებით შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის შემუშავებითა და განხორციელებით, შეიძლება გარკვეულწილად გადაიჭრას მაღალი მთის საზღვრისპირა სექტორებთან დაკავშირებული ოპერატიული კომუნიკაციის, სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოგრაფიული საკითხებიც. აქ ჯერ კიდევ მაცხოვრებელმა ადამიანებმა კი ერთდროულად შეასრულონ ქვეყნის დარაჯის, მესაზღვრისა და სასურსათო პროდუქციის მწარმოებელი მეურნის ფუნქციებიც.

იმისათვის, რომ ქართულმა სოფელმა აწარმოოს საკმარისი პროდუქცია, აუცილებელია სოფლად აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის ანუ სპეციალიზებული აგროსაკრედიტო და სასურსათო უსაფრთხოების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემების შექმნა. ასევე, უნდა დაფუძნდეს წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი (კოოპერაციული) გაერთიანება და საგარანტიო ფონდი, რის მეშვეობითაც მოხდება აგრარული შრომის სტიმულირება და აგროსამრეწველო ინტეგრაცია.

ამიტომ, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარება-მოდერნიზაცია კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვით N1 პრიორიტეტად მიგვაჩნია.

ქვეყნის აგროსასურსათო სექტორში შემდეგი დიდი გამოწვევაა ქვეყნის მოსახლეობის ფიზიოლოგიურ ნორმებზე დაფუძნებული კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობა, როგორც ფიზიკური ასევე ეკონომიკური მიმართულებით. სასურსათო უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკური მდგრადობის განმაპირობებელიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, იწვევს ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ კი, ეკონომიკურ ზრდას.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნების ტოლფასია. ამიტომ, საკუთარი წარმოებით სასურსათო უზრუნველყოფა უნდა გახდეს საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანა, რასაც შეუძლია მულტიპლიკაციური ეფექტის მოცემა და გაძლიერებული მიგრაციის პროცესში მყოფი სოფლის გადარჩენა.

ასეთ პირობებში არსებული გამოწვევები სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში საქართველოს წინაშე აყენებს ამოცანას, რომ კიდევ უფრო სრულყოფილი გახდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურა, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას, ისევე როგორც, თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას რეგიონების/სპეციალიზაციის ზონების მიხედვით. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის განვითარება-მოდერნიზაცია, კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭირო და გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოება თერთმეტ ზონად და სამ ქვეზონად იქნა დაყოფილი რეგიონების ბუნებრივ-საწარმოო პოტენციალიდან გამომდინარე. მოგვიანებით, 70-იან წლებში, მასში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელთა მიხედვით ოფიციალურად დადგინდა საწარმოო სპეციალიზაციის 13 ზონა 11 ქვეზონით.

უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა (საზოგადოებრივი წარმოების ტრანსფორმაცია, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და ა.შ.) სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონალური სპეციალიზაციის სქემის გადახედვა მოითხოვა, რის შედეგად 1999 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამტკიცდა სპეციალიზაციის ახალი სქემა**.** საქართველოს ზონალური სპეციალიზაციის დამტკიცებულმა სქემამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა ცალკეული მხარის თუ ადმინისტრაციული რაიონის როლი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში, განგვესაზღვრა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების რაციონალური და ეფექტური გაძღოლის შესაბამისი სისტემები, სასოფლო-

-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრირების შესაძლებლობანი. იგი ნათლად წარმოაჩენდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ადგილობრივი დარგების გაადგილებასა და სპეციალიზაციას, როგორც ტერიტორიულ-გეოგრაფიულ ჭრილში, ისე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან შესაბამისობაში.

თუმცა, დღეს უკვე მისი გადახედვაც აქტუალური გახდა, ამიტომ, ჩვენს მიერ გაანალიზებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის, როგორც მემცენარეობის, ასევე მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურა რეგიონების მიხედვით და დადგენილ იქნა 5 და მეტი პროცენტის მქონე წარმოებული პროდუქტების ხვედრითი წილი მათ დარგობრივ სტრუქტურებში (ცხრილები 1 და 2).

როგორც წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს ჩვენ ჯერ კიდევ შემოგვაქვს საჭირო სურსათის 55%-ზე მეტი. თუ გვსურს, რომ 2030 წლისთვის მივაღწიოთ გაწონასწორებულ სავაჭრო ბალანსს, მნიშვნელოვნად უნდა გავზარდოთ საკუთარი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რათა, შემცირდეს სურსათის იმპორტისთვის ვალუტის ზედმეტი ხარჯვა

საქართველოს მემცენარეობის დარგობრივი სტრუქტურა რეგიონების მიხედვით (ცხრილი 1)

დასახელება	ბაღჩეული	ყურძენი	ხორბალი და ქერი	სიმინდი	მზესუმზირა	სუბტროპიკული ხილი, ციტრუსები	ჩაი	ხილი	თხილი, კაკალი, ნუში	ბოსტნეული	მწვანე ლობიო	მრავალწლიანი ბალახები	კარტოფილი
შიდა ქართლი	-	6	9	9	-	-	-	43	-	38	-	11	5
ქვემო ქართლი		-	8	13	-	-	-	-	-	24	18	24	33
მცხეთა-მთიანეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
სამცხე-ჯავახეთი	-	-	21	-	-	-	-	-	-	-	-	37	59
კახეთი	81	76	59	19	59	5	-	16	16	12	18	-	-
იმერეთი	14	10	-	20	-	-	34	7	9	10	15	-	-
სამეგრელო	-	-	-	28	-	9	30	15	42	-	-	-	-
რაჭა-ლეჩხუმი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გურია	-	-	-	-	-	11	35	6	18	-	-	-	-
აჭარა	-	-	-	-	-	62	-	7	12	-	36	-	-
წარმოება, ათასი ტ	65.3	275.3	201.6	200	2.2	79.5	2.6	560.5	47.6	138.5	3.5	32.0	213.0
მოხმარება, ათასი ტ	X	70	589	148	X	X	X	X	X	203	X	X	191
იმპორტი, ათასი ტ	12.0	4.4	281.9	56.8	5.0	32.7	2.4	114.6	4.3	100.5	0.6	0.08	13.1
იმპორტი, მლნ აშშ $	2.6	5.2	74.3	17.4	4.1	18.2	9.5	96.8	15.5	39.6	0.2	0.04	4.2
ექსპორტი, ათასი ტ	1.9	1.1	1.7	4.9	0.3	63.3	2.0	144.2	20.3	10.8	0.02	1.3	28.5
ექსპორტი, მლნ აშშ $	0.8	1.2	0.5	2.0	0.5	39.5	3.6	211.7	102.1	10.7	0.02	0.3	7.8
თვითუზრუნველყოფა, %	X	236	22	70	X	X	X	X	X	52	X	X	87

შენიშვნა: ცხრილები 1, 2 და 3 შედგენილია: *საქსტატისა (2021-2024 წლები) და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების საფუძველზე; წარმოების, ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლებისთვის აღებულია 2021-2024 წლების საშუალო მონაცემები, მოხმარება მოიცავს 2021-2023 წლების საშუალო მონაცემებს, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი კი 2023 წლის მაჩვენებელს; ცხვრისა და თხის სულადობის, ფუტკრის ოჯახების, თაფლის, ხორცის, ბაღჩეულის, ჩაის ფოთლის წარმოების მონაცემი წარმოადგენს 2021-2023 წლების საშუალო მონაცემებს; ფუტკრის იმპორტის რაოდენობა მოცემულია ათას სულებში; რძის იმპორტის რაოდენობა მოცემულია*

ათას ტონებში; ყურძნის მოხმარების მონაცემი მოიცავს ყურძნის მოხმარებას ღვინის სახითაც; ნუშის წარმოების მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი; ქერის მოხმარება და თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი არ არის ხელმისაწვდომი, ცხრილში მოცემულია მხოლოდ ხორბლის მაჩვენებლები; "-" მოვლენა არ არსებობს; "X" მონაცემი არ არის ხელმისაწვდომი.

საქართველოში მოსახლეობის მოხმარებული კალორიების საერთო რაოდენობის თითქმის 2/3 მცენარეული წარმომავლობის სასურსათო პროდუქტებზე მოდის, რაც რეკომენდირებულ პროპორციებზე 1.5-ჯერ უფრო მაღალია. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მოსახლეობის მოხმარებული ყოველი 1000 კილოკალორიის ღირებულება მცენარეული წარმომავლობის პროდუქტებიდან დაახლოებით 3-4-ჯერ უფრო იაფი ჯდება ცხოველური წარმომავლობის იმავე რაოდენობის კალორიების ღირებულებასთან შედარებით. შედეგად, ფორმალურად იაფდება სასურსათო კალათა, იქმნება ფორმალური საფუძველი საარსებო მინიმუმის შესამცირებლად, თუმცა იმავდროულად, ირღვევა პროპორციები საზოგადოების წევრების მიერ ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების მოხმარებაში. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში აგრარულ სექტორში შექმნილი პროდუქციისა და დამატებული ღირებულების დინამიკა უკვე არათუ აღარ ჩამოუვარდება ეროვნული პროდუქტის დინამიკას, არამედ უკვე რამდენადმე გადაუსწრო კიდევაც მას (2020 წელს, 2012 წელთან შედარებით, წარმოების მასშტაბი აგრარულ სექტორში გაიზარდა 24.6%-ით, მაშინ როდესაც ეროვნული მეურნეობის დანარჩენ დარგებში - 23.3%-ით), ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში არსებული მდგომარეობა, განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოების მხრივ, მაინც აშკარად არადამაკმაყოფილებელია. საჭირო ხდება მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მისი მსხვილმასშტაბიანი იმპორტი.

საქართველოს მეცხოველეობის დარგობრივი სტრუქტურა რეგიონების მიხედვით (ცხრილი 2)

დასახელება	ცხვარი (ათასი სული)	თხა (ათასი სული)	ფუტკარი (ათასი სკა)	ღორი (ათასი სული)	მრქ (ათასი სული)	ფრინველი (ათასი ფრთა)	ცხვრის ხორცი	მრქ ხორცი	ფრინველის ხორცი	ღორის ხორცი	კვერცხი (მლნ ცალი)	რძე (მლნ ლიტრი)	თაფლი
შიდა ქართლი	-	-	6	9	6	11	-	10	21	13	5	7	5
ქვემო ქართლი	30	17	12	15	19	36	19	6	59	23	42	20	5
მცხეთა-მთიანეთი	7	-	-	-	-	-	-	5	-	-	-	-	-
სამცხე-ჯავახეთი	10		10	-	-	-	12	6	-	6	-	13	10
კახეთი	48	39	18	14	11	17	49	21	6	20	20	11	31
იმერეთი	-	8	20	19	19	12	29	25	8	17	8	21	23
სამეგრელო	-	16	16	23	20	10	-	15	6	15	5	15	10
რაჭა-ლეჩხუმი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გურია	-	6		-	-	-	-	-	-	-	-	-	-
აჭარა	-	-	12	-	5	-	-	5	-	-	-	5	10
წარმოება, ათასი ტ	826.8	50.7	202.7	143.5	857.9	8 431.7	4.9	22.3	24.9	22.8	654.0	576.9	2.0
მოხმარება, ათასი ტ							4.7	27.8	72.5	46.8	632	X	X
იმპორტი, ათასი ტ	13.7	0.06	2.8	125.9	17.7	8 077	0.00	6.0	62.1	22.3	38.1	11.2	0.01
იმპორტი, მლნ აშშ $	1.0	0.01	0.11	23.6	12.3	6.6	0.06	23.4	90.0	49.2	5.2	12.9	0.04
ექსპორტი, ათასი ტ	327.5	0.01	-	1.9	122.8	10 762	0.3	1.7	14.1	3.6	8.6	0.00	0.14
ექსპორტი, მლნ აშშ $	33.0	0.00	-	0.2	56.4	5.8	2.7	6.3	21.2	7.6	2.9	0.00	0.7
თვითუზრუნველყ, %							100	74	32	46	93	X	X

ამიტომ, საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები აგროსასურსათო სექტორში და ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე. **მეორე ასეთ პრიორიტეტად მიგვაჩნია სასურსათო უსაფრთხოებასა და ექსპორტზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება.**

თანამედროვე მსოფლიოში კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელებს, არამედ ეროვნულ მეურნეობათა მოდელებსა და ეკონომიკის დარგთა ორგანიზაციისა და გაძღოლის ფორმებს შორისაც.

საქართველოსა და მის აგროსასურსათო სექტორსაც გააჩნია თავისი კონკურენტული უპირატესობანი. ამიტომ, საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების პრიორიტეტების შემუშავებისას, ბუნებრივია გავითვალისწინეთ ქვეყნისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი და მათზე დაყრდნობით განვსაზღვრეთ ქვეყნის აგროსასურსათო სექტორის განვითარების ზემოაღნიშნული პრიორიტეტები.

ამასთან, საქართველოს გააჩნია თავისი ეროვნული სპეციფიკა, რომლის გათვალისწინებითაც იმართება ქვეყნის ყოფაცხოვრებისა და სამეურნეო საქმიანობის სხვადასხვა სფერო. ასეთი სპეციფიკები ვლინდება ადამიანთა ურთიერთობის ისტორიულ ფორმებში, კულტურულ და მიწასთან დამოკიდებულების ტრადიციებში, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და სხვა სახის ფასეულობებში. ამასთან, ქვეყანას ასევე გააჩნია ღირებული გეოგრაფიული მდებარეობა ყველა მიმართულებით სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელისა და ფინანსური ჰაბის შესაქმნელად, კომფორტული ბიოგეოკლიმატური პირობები, საიდანაც მომდინარეობს საკვების შემადგენლობა, კვების თავისებურებები, ტრადიციები, ბიომრავალფეროვნება, უძველესი ისტორია, დახვეწილი სტუმარ-მასპინძლობა და ტრადიციული სუფრის რიტუალი და კულტურა, შავი ზღვითა და კავკასიის მთებით შემოსაზღვრული მრავალფეროვანი ლანდშაფტი, ეგზოტიკურობა და სხვა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია რეგიონების მიხედვით (ცხრილი 3)

რეგიონი/ზონა	**რეგიონული/ ზონალური სპეციალიზაცია**	**სასურსათო უსაფრთხოებაზე ორიენტირებული კულტურები**	**ექსპორტზე ორიენტირებული კულტურები**
1	**2**	**3**	**4**
კახეთი	მევენახეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეობა	**მემცენარეობა**: ხორბალი, ქერი, სიმინდი მზესუმზირა, ბოსტნეული და ბაღჩეული **მეცხოველეობა:** ცხვრის, მრპ და ღორის ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი	**მემცენარეობა**: ყურძენი/ღვინო, ხილი, კაკალი, თხილი **მეცხოველეობა:** ცხვარი და თხა, თაფლი
სამეგრელო	სუბტროპიკული, თხილი, მემარცვლეობა, მეცხოველეობა	**მემცენარეობა**: სიმინდი; **მეცხოველეობა:** მრპ და ღორის ხორცი, რძე, ყველი	**მემცენარეობა**: ჩაი, თხილი, კაკალი; **მეცხოველეობა:** თხა, თაფლი
იმერეთი	მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა	**მემცენარეობა**: სიმინდი, ბოსტნეული და ბაღჩეული, მწვანე ლობიო **მეცხოველეობა:** ცხვრის, მრპ, ფრინველის და ღორის ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი	**მემცენარეობა:** ჩაი, ყურძენი/ღვინო, ბოსტნეული, მწვანე ლობიო **მეცხოველეობა:** თაფლი

ქვემო ქართლი	მებოსტნეობა, მეკარტოფილეობა, მეცხოველეობა, საკვებწარმოება	**მემცენარეობა:** ხორბალი, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, ერთ და მრავალწლიანი ბალახები, ბოსტნეული, მწვანე ლობიო **მეცხოველეობა:** ცხვრის, ფრინველის და ღორის ხორცი, კვერცხი, რძე, ყველი	**მემცენარეობა:** ბოსტნეული, კარტოფილი, მწვანე ლობიო **მეცხოველეობა:** ცხვარი, თხა, ფრინველის ხორცი, კვერცხი
შიდა ქართლი	მეხილეობა, მებოსტნეობა, საკვებწარმობა, მეცხოველეობა	**მემცენარეობა:** ხორბალი, ქერი, სიმინდი, კარტოფილი, ერთ და მრავალწლიანი ბალახები, ბოსტნეული **მეცხოველეობა:** ფრინველის და ღორის ხორცი, რძე, ყველი	**მემცენარეობა:** ხილი, ბოსტნეული **მეცხოველეობა:**
სამცხე-ჯავახეთი	მეკარტოფილეობა, საკვებწარმოება, მემარცვლეობა	**მემცენარეობა:** კარტოფილი, ხორბალი, ქერი, ერთ და მრავალწლიანი ბალახები **მეცხოველეობა:** რძე, ყველი	**მემცენარეობა:** კარტოფილი **მეცხოველეობა:**
აჭარა	სუბტროპიკული, საკურორტო	**მემცენარეობა:** მწვანე ლობიო; **მეცხოველეობა:** მრპ ხორცი, რძე	**მემცენარეობა:** სუბტროპიკულები, ციტრუსი, მწვანე ლობიო, თხილი, კაკალი **მეცხოველეობა:** თაფლი
რაჭა-ლეჩხუმი	მეცხოველეობა, მევენახეობა, საკურორტო		
მცხეთა-მთიანეთი	სამთო მეცხოველეობა, საკურორტო		
გურია	სუბტროპიკული		
ქ.ქ. თბილისი, ქუთაისი, რუსთავი	საგარეუბნო სოფლის მეურნეობა		

შესაბამისად, ჩვენს მიერ ქვეყნის ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით შემოთავაზებული **„სასურსათო უსაფრთხოებასა და ექსპორტზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების“ პრიორიტეტული მიმართულება** სასურველია განხორციელდეს რეგიონული/ზონალური სპეციალიზაციის მიხედვით შესაბამისი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების გათვალისწინებით. ამ ცხრილის მიხედვით რეგიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი სწორედ რომ მათი განმსაზღვრელი ბუნებრივ - საწარმოო პოტენციალია, თავიანთი საწარმოო სპეციალიზაციის განმსაზღვრელი დარგითა, ან მაპროფილებელი კულტურებით.

მიმდინარე ეტაპზე სასურველია, საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად, ხოლო შემდეგ ეტაპზე – ჯერ ინდუსტრიულ, ხოლო შემდეგ კი პოსტინდუსტრიულ ქვეყნად ზეგანვითარებული ტექნოლოგიური სოფლის მეურნეობით, რომელიც თვითონ დაიკმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარსებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად – მეცნიერებატევადი,

მაღალტექნოლოგიური აგროსასურსათო პროდუქცია.

დასკვნა

აგრარული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, ერთის მხრივ, ***„სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, განვითარება-მოდერნიზაცია კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვით“,*** ხოლო, მეორეს მხრივ, ***„სასურსათო უსაფრთხოებასა და ექსპორტზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება“.*** ამასთან, სასურსათო უსაფრთხოება ქვეყნის არსებობისა და წარმატებული ფუქნციონირების უმნიშვნელოვანესი ბაზისია. სასურსათო უსაფრთხოება მოიცავს ქვეყნის მოსახლეობის კვების პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის ანალიზს, როგორც ფიზიკური ასევე ეკონომიკური მიმართულებით, რომელთა საფუძველი კვების ფიზიოლოგიური ნორმებია. სასურსათო უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკური მდგრადობის განმაპირობებელიცაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი უზრუნველყოფა, ერთი მხრივ, იწვევს ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ კი, ეკონომიკურ ზრდას. სასურსათო უსაფრთხოების გარეშე შეუძლებელია წარმატებით იქნას გადაწყვეტილი ნებისმიერი შიდა ეკონომიკური, თუ სოციალური ამოცანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., კოღუაშვილი პ. – ინდუსტრიული სოფელი – მომავლის გლობალური გამოწვევა. თბილისი, 2025 წ. (მონოგრაფია);

2. ასათიანი რ., კოღუაშვილი პ. – საქართველოს სოფლის მეურნეობა – გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, 2023 წ. (მონოგრაფია);

3. კოღუაშვილი პ. – საქართველოს სასურსათო უშიშროება, რეალობა და პროგნოზები. თბილისი, 2014 წ.;

4. კოღუაშვილი პ. – სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. თბილისი, 2020 წ.;

5. კოღუაშვილი პ. – ქართული სოფლის სტატუსის შესახებ. //ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“, N5, 2016 წ.;

6. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2021-2027 წწ.;

7. საქართველოს სოფლის მეურნეობა: ტრანსფორმაცია და განვითარების ბოლო ათწლეულის ტენდენციები, მონოგრაფია, თბილისი, საქართველოს პარლამენტი, 2023 წ.;

8. ხარაიშვილი ე.–კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი, 2011 წ. (მონოგრაფია);

REFERENCES:

1. **Asatiani R., Koghuashvili P.** – Industrial Village – A Global Challenge of the Future. Tbilisi, 2025. (Monograph);

2. Asatiani R., Koghuashvili P. – Agriculture of Georgia – Challenges and Perspectives. Tbilisi, 2023. (Monograph);

3. Koghuashvili P. – Food Security of Georgia: Reality and Forecasts. Tbilisi, 2014.

4. **Koguashvili, P. –** Agricultural Economics. Guide. Tbilisi, 2020.

5. **Koguashvili, P. –** About the status of Georgian villages. //Magazine,, Social Economy – Current Problems of the XXI Century” N5, 2016.

6. Agriculture Development Strategy of Georgia 2021-2027.

7. Agriculture of Georgia: Transformation and Trends of the Last Decade of Development, Monograph, Tbilisi, Parliament of Georgia, 2023.

8. Kharaishvili E. – Problems of Competition and Competitiveness in the Agricultural Sector of Georgia. Tbilisi, 2011. (Monograph).

FOR THE PRIORITIES AND REGIONAL SPECIALIZATION ISSUES IN THE AGRO-FOOD SECTOR

Revaz Asatiani
Academician (Full Member) of the Georgian
Academy of Agricultural Sciences,

Guram Rogava
Lawyer, Economist, Academic Doctor
of Economic Sciences,

Elizabeth Gadzadze
Intern.

RESUME

The development of the agro-food sector of any country plays a crucial role in ensuring its security.

According to the average data of the last five years (2019-2023) in foreign trade turnover of agro-food products, 57.6% accounted for imports, while 42.4% for exports. Moreover, the annual share of exports increased by an average of 13% over the past five years, which is undoubtedly a welcome trend. Unfortunately, Georgia is still weak in terms of food product production, and there is a continuous rise in food prices.

In such circumstances, the challenges in agricultural product production pose a task for Georgia to identify and further improve the structural composition of agricultural production, in which a leading and priority place will be allocated to the production of products necessary for the formation of the food balance, as well as determining the production and export potential of each sector based on regional industrial specializations.

Keywords: Agri-food sector, Priorities, Competition, Production specialization.